აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დადგენილება №13

02 ივნისი 2004 წ ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი საბუთების არმქონე ამომრჩევლებისათვის ამომრჩევლის მოწმობის საფუძველზე ხმის მიცემის უფლების მინიჭების თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 128^8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, კანონით დადგენილი საბუთების არმქონე ამომრჩევლებს მიეცეთ უფლება კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ამომრჩევლის მოწმობით საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-თ განსაზღვრული წესით;

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ № 5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე